

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
სხდომის ოქმი N 7

2022 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, ომარ ქარდავა.

დაწყების დრო: 12:05-სთ.

დასრულების დრო: 12:35-სთ

დღის წესრიგი:

1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 თებერვლის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: თეა სარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს 1. მომხსენებელმა ელენე ბერაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი, "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 თებერვლის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ანგარიში თან ერთვის). ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ ქონიათ .

მოისმინეს2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. მოხსენება გააკეთა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.ანგარიში მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს (ანგარიში თან ერთვის). სოციალური პროგრამები გეგმის შესაბამისად ხორციელდება და შეესაბამება (65%). ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ. კომისიის წევრებმა ორივე საკითხი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნიეს ერთხმად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



/ზაირა ქანთარია/